№ 100 მაისი 13, კვირა 1890 მაისი 13, კვირა № 100

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## Отъ конторы редакціи


Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

სურათებიანი

**„ვეფხის-ტყაოსანი"**

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

**გ. დ. ქართველიშვილის მიერ**

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ჩიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 31 ამა მაისისათვის გამგეობაში დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად გასაცემად ხუთის წლით იჯარით ქალაქის საშენ ქვის ქარხნისა, სახელწოდებით ეკლარისა, რომელიც იმყოფება მახლობლად სოფლის ჩოგნარისა ქუთაისის მაზრაში. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ პირობათა შეტყობა შეუძლიათ გამგეობაში ყოველ დღე, დილის ათ საათიდგან ორ საათამდინ.

(3—1)

### ქართული თეატრი

—

გაიმართა ხელის - მოწერა გამოჩენილის ტრაგიკოსის **ერნესტო როსსის** და იმის დასის თითოეულ წარმოდგენის ბილეთების ცალკე.

შაბათს, 26 მაისს გაჰმართავენ
1 წარმოდგენას, მე-2 აბონემენტისას
**მეფე ლირი.**

კვირას, 27 მაისს
1 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**ოტელო.**

სამშაბათს, 29 მაისს
მე-2 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**ლიუდოვიკ მე-XI.**

ხუთშაბათს, 31 მაისს
მე-3 წარმოდგენა 2 აბონემენტისა
**ჰამლეტი.**

შაბათს, 2 თიბათვეს
მე-4 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**კ ი ნ ი.**

კვირას, 3 თიბათვეს
მე-2 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**მაკბეტი.**

სამშაბათს, 5 თიბათვეს
მე-3 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**დიმნაშვის ოჯახი.**

ხუთშაბათს, 7 თიბათვეს
მე-4 წარმოდგ. 2 აბონემენტ.
**კორიოლანი.**

შაბათს, 9 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**ნერონი.**

კვირას, 10 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**შეილოკს,**
ანუ ვენეციელი ვაჭარი.

ფასები აფიშებზეა გამოცხადებული. ბილეთებში აღებული ფული ბ-ნის როსსის მოსვლამდე დასითურთ საკომერციო ბანკში ინახება. კასსა ღიაა დილის 10-დგან 2 საათამდე და საღამოს 5-დგან 7 საათამდე.

(10—4)


## ძირითადი უკუღმართობა

რა ენა წახდეს,
ერიც გაირყვნეს.
გრ. ორბელიანი.

გაჰქრა ენა? გაჰქრა ხალხიც...
უმანცკი.

გაგიგონიათ მებაღე, რომელიც საშინლად მონატური ყოფილიყოს ხილის უხვის მოსავლისა და ხეხილებისათვის-კი ძირი და ფესვები ეთხაროს, ეფუჭებინოს, ეხმოს? განა არ გაგიგონიათ?

გადაავლეთ ახლა ყურადღებით თვალი ჩვენის მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლასა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ შორის მოიპოებიან არა-ერთნი და ორნი მშობელნი, რომელნიც ამ საარაკო, არ გაგონილს მებაღეს მოგაგონებენ. მართლა და რომელი მშობელი არა ნატრობს თავისი შვილებისათვის გამჭრიახე ჭკუასა, ღრმა გრძნობასა, მტკიცე ხასიათსა, ერთი სიტყვით კაცურს კაცობასა? გარნა ზოგნი, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონვე საკუთარი ხელით ძირს უთხრიან თავიანთ შვილების სულის განვითარებასა, ფესვებს უხმობენ მათ სულის დასრულებასა. როგორ? იგინი ნორჩი თაობის აღზრდა-სწავლაში ადგანან იმისთანა უკუღმართს გზასა, რომელიც ძლიერ დამაქვეითებელია აზროვნებისაც, გულისაც, ხასიათისაც და რომელიც ფუქსავატობის დედაა, ძიძა და გამდელი, რაში მდგომარეობს ეს უკუღმართი გზა?

ტურგენიევი ერთს თავის თხზულებაში ამბობს: ხშირად, როდესაც სრული სასოწარკვეთილება მომერეოდა ხოლმე ჩემის სამშობლო ქვეყნის მომავლის შესახებ, ერთად ერთს ნათელს წერტილად შავს გორიზონტზე, ერთად-ერთს გამამხნევებელს იმედად უიმედო მდგომარეობაში მამევლინებოდა ხოლმე ჩემი სამშობლო რუსული ენა და ჩემს გულში ვამბობდი: ხალხმა, რომელმაც შეჰქმნა ამისთანა მდიდარი და მშვენიერი ენა, არ შეიძლება ადრე თუ გვიან არ დააღწიოს თავი ახლანდელს გაჭირებულს მდგომარეობას, არ გავიდეს წარმატების ფართო გზაზედ და არ დაეწაფოს შორს მომავალში მაინც ბედნიერის ცხოვრების წყაროსა.

არა ნაკლების საფუძვლიანებით შეუძლიან სთქვას შეგნებულმა ქართველმა ესევე სიტყვები ჩვენს დედაენაზედ. ვისაც-კი მეტ-ნაკლებობით გაგებული აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი სიმდიდრე და კაფიობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა ეკუთვნის მაღალი აგებულობის ენათა დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავისი ფორმები და დაამყარა თავის ორგანიულს ნაწილებს შორის სრული გარმონია ძველთაგანვე, მეთორმეტე საუკუნეში. ჰკითხეთ ლინგვისტებს, ენის-მეტყველთა, რაში მდგომარეობს ღირსება ენისა და ისინი დაგისახელებენ: სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკულის სქესების არ ქონვას, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებელის დამორჩილებას რაიმე განსაზღვრულს კანონზედ, მრავალ - ფეროვნებას და მოქნილებას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას. ვინ არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა, რომელიც ამ ღირსებათ წყალობით ყველა ცოტაოდნად განსხვავებულს მდგომარებას, მოქმედებას, ვითარებას განახორციელებს განსაკუთრებითი, ზედ გამოჭრილი ფორმით, გამოხატულებითა!

დიახ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ მხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიისა, სადაც ერთს პატარა ადგილზედ პოლუსი, ტროპიკი და ზოგიერთი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცქერიან ბროწეულს, ლედვს, ვაზსს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიულს მცენარეობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართველი ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალ-გვარი მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერ მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამმას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერალისა არ იყოს. ჰკითხეთ ჩვენ იღბლიანს მეზობლებსა: რა გშურთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ ქართულ ენასა და მერე გაერთებულს, შეკუმშულს ტერრიტორიასა.

დიახ, ლინგვისტი, რომელიც ზედ მიწვენით შეისწავლიდა ქართულს ენას, იტყოდა ამაზედ სწორედ იმასვე, რაც სთქვა გამოჩენილმა მსწავლულმა უსლარმა ქართულს ანბანზედ, რომელიც მან აღიარა უუსრულეს ანბანად მთელის დედამიწის ზურგზედ.

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? ქართული ენა ამ ჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობიექტიურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბიექტიურად, ჩვენს პირში, არის ღატაკი და ღლე ნაკლულის არსებას მოგაგონებთ.

კიდევ ისევ სამწუხარო არ იქნებოდა ქართული ენის აბუჩადაგ-დება, რომ ამ მოვლენას ვხედავდეთ მხოლოდ სასწავლებლებში; მაგრამ სავაგლახო და სავალალო ის გახლავთ, რომ იქაც-კი, სადაც დედაენა უნდა შეუცილებლად უფლობდეს და სუფევდეს, მას ევყრობიან აქა-იქა მაინც სწორედ ისე, როგორც ავ-გული დედინაცვალი ექცევა ათვალწუნებულს თვისს გერსა. ეს მომაკვდინებელი სენი ცოტ-ცოტათი იპარება ქართულს სახლობრივს სფეროშიაც და ისიც რომელში? არა მარტო გადაბირებულს მოხელეთა ჯალაბობაში და ზოგიერთა გაფუქსავატებულს არისტოკრატებში, არამედ თვით ჩვენს განათლებულს დასსაც-კი შეჰყრია. არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ და ქართულისა-კი ჰაჰარებაც არ ესმის. უფრო კიდევ სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარ სახლობათა რიცხვში ხედავთ მეორმოცე და მესამოცე წლების ზოგიერთა პატრიოტებსაც, რომელნიც ლიტერატურაში ცხარე-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულის სიყვარულზედ და საქმე-კი იმითი გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნობას და თავიანთ სახლებიდგანაც გამოაძევეს ქართული ენა. ამ ვაჟბატონებს რომ ჰკითხოთ, რად დაგებათ პირი უკუღმაო, გასამართლებლად ზოგნი დაგისახელებენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბედის წერამ უცხოელს ქალებს გადაგვკიდაო; მაგრამ განა ეს შესაწყნარი საბუთია? განა კაცმა რომ უცხო ტომის ქალი ცოლად შეირთოს, უნდა შეაძულოს შვილებს დედა ენა, სამშობლო და გადაბირების გზაზედ დააყენოს?.. ამაზედ კიდევ უფრო უარესი ის გახლავთ, რომ ზოგჯერ დედაც ქართველია და მამაცა, არც ერთი არ არის მოკლებული არც განათლებასა, არც გრძნობასა და არც აზროვნობასა; მაგრამ სახლობაში-კი ბრმა მიმდევარნი არიან უგუნურის მოდისა და მასში ამყარებენ, ეროვნული ატმოსფერის მაგიერ, გადაბირებულს მიმართულებასა.

ეროვნულს სკოლას შეეძლო მეტნაკლებობით შეესუსტებინა მავნებლობა ამ გვარის ოჯახის უკუღმართობისა; მაგრამ სად არის ამ გვარი სკოლა? ჩვენს სკოლებში ყველაფერს აქვს ადგილი, გარდა ეროვნობისა.

დედა-ენა კარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული; იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმა შინაგანი საფუძველი ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულზედ და ხორცზედ. მის ფსიხოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულობაზედ, ყოველს ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დედის მუცლიდგან ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს-იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველს აზრს, წარმოდგენას, გრძნობას, და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ხატავს სრულის სინამდვილით, სისრულით და კაფიოდ.

ამასთან დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონების, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაფრამწიზისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედაენას აშორებს და უცხო ენაზედ ასწავლის, რასა შვრება ის ამითი? იგი ართმევს თავის შვილს ერთად-ერთს ღონის-ძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიპატარავის დროსა, აშორებს მის ბუნებაზედ ზედ გამოჭრილს იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითი იარაღის სამსახურსა.

ამ გვარი ქცევა მშობლისა ჰბადავს უთანხმოებას, წინააღმდეგობასა ბავშვის სიტყვიერებისა და მის სულის და ხორცის შუა და რომ ამ წინააღმდეგობასა დამღუპველი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვზედ, ადვილი მისახვედრია. ბავშვი, დაბადებიდგანვე

მოკლებული დედა-ენის გამაცოცხლებელს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნობას, და ისეთივე უხეირო ჰკუის-პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მუზიკანტი შეიქმნება პირი, მესერიპ კედ დაბადებული და მეფორტოპიანედ ძალად გაზრდილი, ანუ, უფრო უკეთ: ამ გვარი ბავშვი ეგვანება საკოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშიას სტვენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მიეწევა ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა ნეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავის სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია. ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც-კი მას ღალატობს, გადადის მის კანონებსა და უკუღმართად იქცევა.

ის მოვლენა, რომ ადამიანი ზედმიწევნით სწავლობს უცხო ენებსა, სრულიად არ ეწინააღმდეგება დედა-ენის ორგანიულს შეხორცებასა მისს ბუნებასთანა. უხელო ადამიანები ხშირად ფეხითა სწრიან, ჰკერვენ, სმენ, სჭამენ და აკეთებენ თითქმის ყველა იმას, რის გაკეთებისათვისაც ღმერთს ჩვენთვის ხელი მოუნიჭებია; მაგრამ ნუ თუ ამ ფაქტს შეუძლიან ვისიმე თვალში შეამციროს ხელების უბადლობა, შეუდარებლობა სხვა-და-სხვა საქმის გაკეთებისათვის! ამავე აზრის დასასურათებლად მარჯვე მაგალითს [illegible] შანი. ეს შროშანი საოცარი ოსტატობით ჰბაძავს ყველა ფრინველის გალობასა და ყველა ცხოველის ხმაურობასა ბულბულის გალობიდგან დაწყებული ძაღლის ყეფამდე. გარნა მხოლოდ თავისი ბუნებრივი სტვენა უხდება მას, მხოლოდ ამ სტვენით ხატავს კაფიოდ და სრულად ნამდვილს მოძრაობას და გრძნობას სულისას, მარტო ამ თავისი სტვენით ასიამოვნებს მსმენელსა, აწონებს თავსა და თავისს არსებობის თავისებურობას და სარგებლობას ამტკიცებს.

მეტადრე ერთს ფრიად სიმპატიურს სფერაში აშკარავდება უძლურება ყველა უცხო ენისა. ეს გახლავთ ნაზი გრძნობის, ალერსის სფერა. ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა-ენას, ვერას დროს ვერ მიესაყვარლება თავისს მშობელთა და ნათესავთა სრული გრძნობის ძალით, ვერას დროს ვერ იპოვნის იმისთანა ქართველს გულში ღრმად მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან: «შენი ჭირიმე», „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავ-შემოგევლე,“ „წამლად დაგედე“ და მრავალი სხვანი. ამისთანვე უძლურებას ენისას იგივე ბავშვი გამოცდის დიდობაშიაც თავისს გულის სატრფოს წინაშე, რომელსაც ვულის ენის მაგივრად თავისი მხურვალე გრძნობა და სიყვარული უნდა განუცხადოს მექანიკურად დასწავლილი, ცივი სიტყვებითა, სახსოვრის ენითა და ამითი შეასუსტოს, შელახოს და შეურაცხყოს თავისი ძლიერი გრძნობა და თავისი სატრფოს წმინდა გულის მოძრაობაცა.

დიახ, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა,—ყველა უცხო ენანიც არიან ენანი სახსოვრისა,

ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის. იგი ეკუთვნის უჩინებულეს და განთქმულს პედაგოგებს და მეცნიერებს, რომელნიც ისეთის ძალით, ანალიზით და მჭევრ-მეტყველებით ხატვენ მავნებლობას დედა-ენის უარ-ყოფისა და მის გაცვლისას უცხო ენაზედ, რომ ჩვენი სიტყვები შეადგენენ მხოლოდ მკრთალს კოპიოს, სუსტს აჩრდილს მათი მსჯელობისას.

გამოჩენილის მსწავლულის შლეინერის აზრით, დედა-ენა არის განსაკუთრებული შედეგი ანუ ნაყოფი იმ განსაკუთრებულის აგებულობის ტვინისა, ხმის ორგანოებისა, ნერვებისა, ძვლებისა, რბილისა, რომელიც მინიჭებული აქვს ბუნებიდგან ყოველს კაცსა და ერსა და ამიტომ ისე კარგად არაფრით იცნობება ერი, როგორც ენითაო. ამიტომ მხოლოდ თავისი დედა-ენა შეუძლიან ადამიანს შეისწავლოს სრულად და იხმაროს იგი სრული სიმარჯვით. უცხო ენების შესწავლა და მოხმარება დედა-ენისავით ისევე შეუძლებელია, როგორც ოთხით ან ხელებით სიარული ისე, როგორც კაცი დადის ფეხებითა. (Зопран. Вѣстникъ—1866 ტომი მეათე, გვერდი 2—3).

„დედა ენა ბევრით უფრო მჭიდროდ არის შეკავშირებული ადამიანის შინაგანა არსებობასთან, ვიდრე რომელიმე სხვა ენა, და მისნი ფესვნი ყველაზედ ღრმად არიან გამდგარნი კაცის ბუნებაში“, ეკითხულობთ ახლად დაარსებულს რუსულს პედაგოგიურს ჟურნალში «русская школа». «დედაენასთან», აგრძელებს იგივე ჟურნალი, კაცი დაკავშირებულია არა-მარტო [illegible] ეს არის ენა ლოცვისა, პოეზიისა, ზნეობრივის და მოქალაქეობის მოვალეობისა. იგი მრავალი ძაფით არის მიბმული ჩვენ სულთანა, მის ლოღიკურს ნიჭთანა, მის მუზიკალურს, გრძნობიარე მხარესთანა. არიან პირნი, რომელთაც აზროვნობა, ფიქრი შეუძლიანთ რავდენსამე ენაზედ; მაგრამ არა გვგონია, რომ ვისმე გრძნობა შეეძლოს გარეშე დედა-ენისა.—მე უნდა დავიცვა და შევიმუშაო დედა-ენა, რადგანაც იგი არის უძვირფასესი საუნჯე ადამიანისა და მასთან შეხორცებულია ჩემი ერის აზრი, გონების განვითარება, შემოქმედობითი ძალა („Русская школа“ იანვრის წიგნი, გვერდი 25—26).

«ენა ერისა», ამბობს უშინსკი, დიდ პედაგოგად აღიარებული თვით მოწინააღმდეგეთაგანაც-კი, „არის საუკეთესო ყვავილი მისი სულიერის ცხოვრებისა, ყვავილი დაუმჭკნარი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ იფურჩქნება. ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო. ენაში, ერის შემოქმედების ძალის წყალობით, იქცევა აზრად, სურათად და ხმად ცა სამშობლოსი, მისი ჰაერი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისნი მინდორ-ველნი, მთანი და ღელენი, ტყენი და მინდორნი, ელვა-ჭექანი და ქარიშხალნი, იხატება მთელი ის ღრმა, სავსე აზრით და გრძნობით ხმა სამშობლო ბუნებისა, რომელიც ისე ხმა-მაღლა ღაღადებს კაცის სიყვარულში მის ხშირად სასტიკს სამშობლო ქვეყნისადმი, სამშობლო ჰანგებში, სიმღერებში, სახალხო პოეტების პირში. გარნა დედა-ენის კამკამა სიღრმეებში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის

სულიერის ცხოვრებისა. თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად. დედა-ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულის მოქმედებისას, რწმუნებისას, აზრისას, სტოვებენ კვალთა გამომიელილის სიხარულისას და მწუხარეობისას. ერთი სიტყვით, მთელს ნაშთსა და ნაყოფსა თავისის სულიერის ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედა-ენაში. დედა-ენა არის უცხოველესი და უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთა თაობათა და ჰხდის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად. იგი არამც თუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვითონ ეს სიცოცხლე. როდესაც ჰქრება ერის ენა, ერი აღარ არსებობს. და ქვეყანაზედ არ მოიძებნება იმაზედ აუტანელი ძალ-დატანება, როდესაც ჰსურთ ერს წაართვან ეს მემკვიდრეობითი საუნჯე, შექმნილი და შეძენილი მის წინაპართა ურიცხვი თაობათა მეოხებით.—ამასთან დედა-ენა არის უდიდესი მოძღვარი ერისა („величайшій наставникъ народа“). როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედა ენასა, იგი იძენს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ათასის წინანდელის თაობისას, რომელნიც დიდი ხანია მიწად არიან ნაქცევნი. რაც-კი უნახავთ და გამოუცდიათ, რაც-კი უგრძვნიათ და უფიქრნიათ ამ აურაცხელ წინანდელ თაობათა, გარდაეცემა ბავშვსა დედა ენის შუამავ[illegible] და ბავშვი შედის ცხოვრებაში უდიდესი ძალით აღჭურვილი.

როდესაც ბავშვი სწავლობს დედაენას, იგი გარეგანს ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს. იგი სვამს სულიერს სიცოცხლეს და ძალას დედა-ენის სამშობლო ძუძუდგან. დედა-ენა უხსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა მას ვერც ერთი ბუნების-მეტყველი; იგი ასწავლის მას ხასიათს ადამიანებისას, რომელნიც გარს არტყიან, საზოგადოებისას, რომელშიაც ბავშვი ტრიალებს, მის ისტორიას და მის მისწრაფებათა ისე, როგორც ვერ ასწავლიდა ვერც ერთი ისტორიკოსი. მას შეჰყავს ბავშვი ხალხის რწმუნების და პოეზიის ტაძარში ისე, როგორც ვერ შეიყვანდა ვერც ერთი ესტეტიკოსი. ბოლოს, დედა-ენა შესძენს ბავშვის აზრს იმისთანა ლოღიკურს შენობათა და ფილოსოფიურს შეხედულობათა, რომელთაც მას ვერ შეაძენინებდა ვერც ერთი ფილოსოფოსი («პედაგოგიური თხუზულებანი» უშინსკისა, გვერდნი 200—201).

ამიტომ როდესაც დედ-მამა თავის შვილებს აშორებს დედა-ენასა და მის ნაცვლად აჩერებს რომელსამე უცხო ენასა, რასა შვრება იგი ამითი? უდიდესს და უბადლო მოძღვარს ხელიდგან ართმევს თავის შვილებსა და აბარებს მათ უსეირო და უსულ-გულო მასწავლებელს. სრულიად საჭირო არ არის შორს გამჭვრეტი ჰკუა, რომ ამისთანა ბავშვს კაცმა უწინასწარმეტყველოს არა საშური ველი მომავალი.

„თუ ენა, რომელზედაც ჩვილი ბავშვი იწყებს ლაპარაკსა“, ამბობს იგივე უშინსკი, «ეწინააღმდეგება დაბადებიდგან დაყოლილს ეროვნულს ხასიათსა, ეს ენა ვერას გზით ვერ იქონიებს იმისთანა ძლიერს გავლენას ბავშვის

სულიერს განვითარებაზედ, როგორც უთუოდ იქონიებდა დედა-ენა ვერას დროს ვერ ჩაატანს ისე ღრმად მას სულსა და სხეულში, ვერას დროს ვერ გაიდგამს იმისთანა ღრმასა და სალს ფესვებს, რომელთაც მისდევთ მდიდარი და უხვი განვითარება სულიერი ბუნებისა» (იქვე, გვერდი 207).

ვესსელი, აგრეთვე გამოჩენილი რუსთა პედაგოგი, დედა ენის უსწავლელობას რაცხავს მეტად მავნებელს და დამამხობელს შეცდომად არამც თუ ცალკე პირისათვის, არამედ მთელი ხალხისათვის: «ხალხს რომ დედა-ენა არ ვასწავლოთ, ეს იქნება აღკრძალვა ხალხის აზრის გახსნისა, მისი სულიერი ნიჭიერების განვითარებისა, ეს იქნება ხალხის დატოვება ბავშურს მდგომარეობაში და თუ ხალხს თავისი ენის მაგივრად სხვა ენის სწავლაზედ დავაყენებთ, თუნდაც ეს ახლო ნათესავიც იყოს მისი დედა-ენისა, უფრო უარესს ვიზამთ: ჩვენ დავამახინჯებთ ბუნებითს, თავისებურს გონებითს გახსნასა, ჩვენ დავასახიჩრებთ მთელს მის სულიერს ბუნებასა“.

ჩვენ შეგვეძლო ამ გვარი ციტატებით ავევსო თუნდა მთელი წიგნი და, სხვათა შორის, მოგვეყვანა იმისთანა მაღალ-ნიჭიერის და სახელოვანის მეცნიერის სიტყვები ჩვენი აზრის გასამართლებლად, როგორიც არის კარლე ფოხტი, მაგრამ დავჯერდეთ მოყვანილის მსწავლულების და პედაგოგების მსჯელობასა და მოწმობასა, მით უმეტეს, რომ მათ სიტყვებში სრული ძალით და მეტად გარკვევით არის გამოთქმული მავნებლობა, რომელიც მიუცილებელად მისდევს დედა-ენის უარ-ყოფას და მის გაცვლას რომელსამე უცხო ენაზედ.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

*** დიდომი: შვიდ მაისს, დიღმიდგან ექვსის ვერსის მანძილზედ, ესრედ წოდებულ „დიდ-გორთან“, სადაც შვიდ მაისობას ბლომად იკრიფებოდა ახლო-მახლო სოფლებიდგან მლოცავნი, დიღმის მცხოვრებმა ლავრენტი ჭეიშვილმა სიმთვრალეში მოჰკლა სოფ. ვაზიანში მცხოვრები გიგო ბერიძე. გვამი მიცვალებულისა ჯერაც „დიდ-გორაშია“.

*** თელავი: თეთრის წყლის გზატკეცილზედ, ფიდო ახპატელოვის დუქანს ახლო, ტყის ველის პირად, იპოვნეს გვამი ლევან თუნთრუქიშვილისა, რომელიც იყო მოჯამაგირედ ახპატელოვთან. მიცვალებულს ეტყობა, რომ ძალათი უნდა იყოს მოკლული.

*** ახალციხე: ქაჩხოვის ტყეში, „ხრიალას“ მინდორზედ, იპოვეს გვამი ახალციხის მაზრის მცხოვრების სალა-იბრაჰიმ-ოღლისა. გვამს ეტყობა, რომ ძალათი უნდა იყოს მოკლული. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. ურიათუბანი (თელავის მაზრა): 30 აპრილს ორ ურიათუბნელ გლეხს, მიხა დათუნაშვილსა და იმის ბიძაშვილს დათუნაშვილსავე მოუვიდათ ჩხუბი. ჩხუბში მიხა დათუნაშვილმა დასჭრა საბრალო ომანას ძე დათუნაშვილი ხანჯლით, რის გამოც ეს უკანასკნელი მალე გარდაიცვალა.

*** იორის მუღანლო (სიღნაღის მაზრა): ამ თვეის სამს იორის მუღანლოს მცხოვრებს ფაშა-აბაზ-ოღლს და ახმედა-დულუს-ოღლის მოუვიდათ ჩხუბი ცხვარზედ. ფაშა ოღლიმ ახმედას ჩომბახი დაარტყა თავში და იქვე სული გააფრთხობინა.

*** სიღნაღი: მდინარე იორზედ „პატარა მთის ბარში“ მგზავრმა თათრებმა, რომელნიც ჰყიდულობენ და ჰყიდიან სხვილ-ფეხს საქონელს, მოჰკლეს თოფით ბოდბეში მცხოვრები სიკო აბულაშვილი.

*** სართიჭალა: სიღნაღელ სარქისა ფარსეღოვს, რომელიც ვაჭრობს მარიუნფელდში, დაუწვეს ერთი ძირი თივა, ღირებული 100 მან. ეჭვი ვერავისზედ ვერ მიუტანიათ.

*** კონდოლი (თელავის მაზრა): ორს მაისს იყო აქაურს სასოფლო სკოლაში თელავის მაზრის უფროსი, თ. ნ. ჩოლაყაშვილი. უფროსს სკოლა ძალიან მოეწონა, შეგირდებს ელაპარაკა, დაარიგა და სხვათა შორის სარევიზიო წიგნში ჩასწერა, რომ ვნახე სკოლაო, რომელშიაც 86 ყმაწვილი სწავლობს: 40 ვაჟი და 46 ქალი. ამათში ჩემს დროს დამხვდა მხოლოდ 66 ყმაწვილი, სულ ქართველები. გონიერად და ცნობიერად აძლევდნენ პასუხს მასწავლებელს ეს პატარა შეგირდები. სწერენ და კითხულობენ მშვენიერად. ხოროთი კითხვა სასიამოვნო მოსასმენიაო, და სხვანი.

*** გორი: 8 მაისს ნახევარის საათის განმავლობაში აქ კაკლის სიმსხო სეტყვა მოდიოდა. სეტყვა მიწაზე ჩეჩქივით ჰყრია და მთები-კი, ასე გვგონება, თოვლით არის დაფარულიო. ზარალი დიდი უნდა იყოს. („ახ. მიმ.“)

*** იმავე გაზეთს სწერენ გორის მაზრის სოფლის კავთიხევიდგან: 6 მაისს მოვიდა აქ სეტყვა და ყანები და ვენახები მთლად წაახდინა. სოფლებს ნოსტესა და ახალქალაქს სეტყვას კიდევ ნიაღვარი მოჰყვა, რომელმაც მთლად წალეკა, მოსილა და წალამა ყანები. ზარალი დიდია.

*** კავკავიდგან სწერენ ერთს სომხურს გაზეთს: „ძმები ა. და ს. ყაზარიანცები, რომელთაც აქ დამარხვეველ საზოგადოებათა აგენტურა აქვთ, აპირობენ ის ფული, რაც სომხების სახლების დაზღვევისაგან გასამრჯელოდ ერგებათ, აქაურ სომხურ სკოლებს შესწირონ.

*** რუსეთის დრამატიულ არტისტების ამხანაგობა აპირობს, საიმპერატორო ს.-პეტერბურგის თეატრების არტისტ-ქალის მ. გ. სავინის მონაწილეობით, გამართოს ტფილისში რამდენიმე წარმოდგენა.

*** საიმპერატორო საზოგადოება ბუნების-მეტყველებისა, ანტროპოლოგიისა და ეტნოგრაფიისა ჰგზავნის ამ ზაფხულში რამდენსამე თავის წევრს სხვა-და-სხვა ქვეყანაში სამეცნიერო გამოკვლევათათვის, სხვათა შორის დაღისტანში ი. შ. ანისიმოვს და ქუ-

თაისისა და ტფილისის გუბერნიებში— ა. ს. ხახანაშვილს („Русс. Вѣд.“).

*** პოლიციის მეოთხე ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე, ხოსროევის სახლში, მეორე განყოფილების სასამართლოს კამერიდგან, ამ თვის თერთმეტს გასტეხეს ფულის საცავი ყუთი და გაიტანეს 546 მანეთი და 37 კაპეიკი. აგრეთვე გაიტანეს სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები. გამოძიება სწარმოებს. ქურდს დაეძებენ.

*** ამავე დღეს პოლიციის მესამე ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე, ტფილისის მცხოვრებელს ივანე სარიევს მაღაზია გაუტეხეს და გაიტანეს სხვა-და-სხვა საკანცელიარო ნივთეულობა სულ 500 მანეთისა. ეჭვი ჯერ არავისზე არ მიუტანიათ. გამოძიება სწარმოებს. ქურდს დაეძებენ.

*** 11 მაისს, პოლიციის მეცხრე ნაწილში, აზნაურის ბარბარე ზემმელის ლიმონადის მაღაზიაში დაუკეტავის ფულის ყუთიდგან გაიტანეს 18 მან. და 14 კაპ. ეჭვი ჯერ არავისზე არ მიუტანიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავ ღღესვე და ამავე პოლიციის ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, სტატსკი სოვეტნიკის სტეფან ქრისტეფორეს ძის მიცივოვის დაუკეტავის სამზარეულოდგან სამსახურიდგან დათხოვნილმა ჯარის-კაცმა ვიკენტი ლევაშოვმა მოიპარა სპილენძის ჩამჩა, 50 კაპ. ღირებული. ქურდი ნაქურდალითურთ შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

*** მაისის 11, კიროჩნისა და წყლის პირის ქუჩაზე, ჩაპლიცის სახლში, როცა ფლიგელ - ადიუტანტის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ვერიოვკინის სახლს ალაგებდა მისივე მოსამსახურე, შევიდა იმ დროს ვიღაც უცნობი კაცი და მოიპარა ერთი ვერცხლის ჩამჩა, ექვსი ვერცხლისავე სტოლის კოვზი და ერთიც ჩაის საწური, შემდეგ გამოვიდა ოთახიდგან და გაიქცა. ამ დროს დაინახა ზემოხსენებულმა მოსამსახურემ, გამოეკიდა და დააგდებინა მოპარული ავეჯი. ქურდი-კი გაიქცა. ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს. პოლიციამ მოიწადინა გამოჰკიდებოდა საქმეს, მაგრამ პატრონმა არ მოინდომა, სთხოვა: არა ღირს, ეგ საქმე საქვეყნოდ გახადოთ და სჯობს თავი დაანებოთო.

## ნამდვილ-ქუდმოკლი

ბევრი მტერი ჰყავს ჩვენს ხანჯალს, ამ ქართულის ტანისამოსის დამამშვენებელს სამკაულს. მოუღებს თუ არა რომელიმე ავაზაკი, ან უგუნური კაცი ვისმე ხანჯლით სიცოცხლეს, მაშინვე დიდი და პატარა, ცუდიანი და უცუდო, ხანჯალს მიესევა და იმასა სთვლის უბედურების მიზეზად. არა ერთხელ გამოუთქვამთ კიდეც ის აზრი კერძოდ თუ მწერლობაში, რომ ხანჯლის ტარება სულ ერთიანად უნდა აიკრძალოსო, რადგან ეს იარაღი ათას ხიფათსა და უბედურებას შეამთხვევს ხოლმე ადამიანსაო. ქვეყნის კეთილდღეობისა და მკვლელობის რიცხვის შემცირების მსურველნი ყოველთვის ამ აზრისანი იყვნენ და, იქნება, არიან კიდეც, თუმცა გონების თვალით რომ დაუკვირდეს ამ საგანს ადამიანი, სრულიად უარ ჰყოფს ასეთს აზრს და შემცდარად და უსაბუთოდ, უსაფუძვლო აზრად ჩასთვლის. კიდეც ამიტომ მთავრობა აქამდის ყურადღებას არ აქცევდა და არც აქცევს ამ კაცბატონთა რჩევას. მაგრამ, როგორც სჩანს გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ ერთის ამბიდგან, ამ აზრს მიმდევარი მაინც არ აკლდება.

ამ გაზეთის წარსულ ოთხშაბათის ნომერში (№ 121) ვიღაც უსახელო კაცბატონი მკითხველებს დიღომში მომხდარ ამბავს უამბობს და ამბის მოთხრობას თავის შეუნელებელს, ქადაგ-მოუხდელსა და დამში-მოუსვლელს სიბრძნესაც თან ატანს. საქმე იმაში გახლავთ, რომ დიღომში რაღაც ობა ყოფილა და ობას, ჩვეულებრივ, ბევრი მლოცველი და ღამის მთეველი დასწრებია. უყვლადფერი რიგზედ სწარმოებდაო: სწერს იგი: „მაგრამ ქართულის ტანისამოსის სამკაულმა—ხანჯალმა თავისი არ დაიშალა(?). ორი ქართველი, ღვინით შეხურებული, დაეტაკა ერთმანეთს და ერთმა მეორეს, თავისსავე ამხანაგს, 25 წლისას, მუცელი გაუფატრა. გამოძიებიდგან აღმოჩნდა, რომ მოჩხუბართ ერთმანეთის მტრობა არა ჰქონიათ-რა, მხოლოდ ასეთი უბედურება თუ მოხდა, ისე რაღა, მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ხანჯალი ხელთა ჰქონდათ წაკინკლავებულთაო(?!)“.

როგორ მოგწონთ ეს „კავკაზის“ კორესპონდენტის ფილოსოფია ხანჯლის შესახებ? ეს ორ-პირი მახვილი ისეთ ბოროტ სულად მიაჩნია კორესპონდენტს, რომ იმის გარეშე ველარასა ჰხედავს და მზად არის მთელს საქართველოს აუკრძალოს ამ ტანისამოსის სამკაულის ტარება. რადაო, იკითხავთ. როგორ თუ რადა? ვერა ჰხედავთ, რომ ერთის მეგობრის ხანჯალს მეორე მეგობარი მოუკლავს უსაბუთოდ, უმიზეზოდ? ქამარზე დაკიდებულს ფრთები შეუსხამს, ამოფრენილა ქარქაშიდგან და შიგ გულში სცემია მოყვარეს. დროა ბოლო მოეღოს ხანჯლის მეფობას, დროა ძირიანად ამოვარდეს ამ მახვილის ტარების ჩვეულება!.. რაც ქვეყანაზედ სისხლი იღვრება, სულ ხანჯლისა და იმის დამქაშების ბრალია!

კორესპონდენტი რომ არ აჩქარებულიყო, ცოტა დაჰკვირვებოდა თავის სიტყვებს და ხანჯლის დანახვაზედ ლოგიკის ძაფი არ დასხლტომოდა და დავთარი არ არეოდა, ჩვენის აზრით, ასე უნდა განესაჯა: თუ ერთმა ღვინით შეხურებულმა მეორე ღვინით შეხურებული მოკლა, რაღა თქმა უნდა, იმის ბრალია, რომ შეხურებულნი იყვნენ. შეხურებულნი-კი იმიტომ იყვნენ, რომ მეტის-მეტად გულიანად სცეს თაყვანი ბახუსს და ღვინის სმით გაილეშნენ. მაშასადამე, აშკარაა, ეს ორი კაცი ღვინომ შეასხურა, შეხურებამ ჩხუბი აატეხინა, ჩხუბმა გონება დაუკარგა, გონების დაკარგვამ ხანჯალი ამოაღებინა და ამხანაგი მოაკვლევინა. ხანჯალი რომ იქვე არა ჰქონოდათ? დიდი არაფერი ბედენაა, რადგან ღვინით შეხურებული და გონება-დაკარგული კეტსა სთხლეშავდა თავის მეგობარს, ქვაზედ თავს უხლიდა და გაუგალავდა, კბილებითა სწვდებოდა ყანყრატოში და კისერს გამოაღადრიდა, ყელში წაუჭერდა და დაახრჩობდა, ვინ იცის კიდევ, რას არ იზამდა.

თუ არა და, ხანჯალსა და იმის ტარების ჩვეულებას რომ ვუკითხავ ანდერძს, რა ჰქუაა. ისეთი რა მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა ამ უსულო გალესილმა რკინამ, რომ ასეთს ცილსა ვწამებ? აგრე რომ ვიაროთ და ხანჯლის ტარების აკვეთით რომ მოვიწადინოთ კაცის მკვლელობისა და დასახიჩრების თავიდგან აცილება, მაშინ ხომ ჯიბის დანაც უნდა ავკრძალოთ, ხუთის თითის მუშტად შეკუმშვაც, რადგან ზოგჯერ მუშტი, ან ფერდში და ან საფეთქელში მოხვედრილი, ადვილად გაუფრთხობს ადამიანს სულს. ესეც არ იყოს, განა ცოტაჯერ მომხდარა, რომ სამხედრო წოდების კაცს თავისის ტანისამოსის სამკაულით—ხმლით თავი გაუპია სხვისათვის? მაშ იმათაც უნდა აღვკრძალოთ რაღა ხმლის ტარება, რომელიც სრულიად საჭირო არ არის და მხოლოდ ომსა და ბრძოლაშია გამოსაყენებელი? თუ ამ უღოგიკო აზრს მიუყევით, [illegible] უნდა გავაჩანაგოთ, ქუჩაში ქვაც აღარ უნდა დავაყენოთ, რადგან შეიძლება ერთმანეთსა სდრუზონ და კაკალი სულ გაუგდებინონ, სახლებიც კი აგურისა აღარ უნდა ავაშენოთ, რათა ზედ არავინ უხალოს თავის მეგობარს თავი, ორ და სამ-სართულიანი სახლები აღარ უნდა ავაგოთ, რათა ღვინით შეხურებულებმა ერთმანეთს იმ სიმაღლიდგან ძირს არ მოადინონ ტყაპანი, და სხ. და სხ.

დიაღ, აი ასე რომ განესაჯა ბატონს კორესპონდენტს, აშკარად და თვალ-ნათლივ დარწმუნდებოდა, რომ ყველაფრის მიზეზი და სახაბი ღვინოა. შეეძლო ბახუსის თაყვანის-ცემისათვის აეგო ანდერძი, და არა ხანჯლისათვის, და ისიც კი ეთქვა, რომ დროა ჩვენშიაც დავაარსოთ სიფხიზლის საზოგადოება, როგორც რუსეთის ზოგიერთ ქალაქშია დაარსებული, და ავღკვეთოთ ცოტაოდნად მაინც ასეთი გადაჭარბებული სმა და ლოთობა და ამ ლოთობის წყალობით მოვლენილი უბედურებანიც შევამციროთო. ასეთს დასკვნას რომ დასდგომოდა, იქნება ვისმეს მოსწონებოდა იმისა აზრი, მაგრამ ესლა-კი, ვინც იმის ნაუწყებს ამბავსა და ამ ამბით გამოწვეულს ფილოსოფიას წაიკითხავს, იმის მეტს ვერას იტყვის, რომ

გაუსინჯავსა სიტყვასა
ჩხავილი სჯობან ტურისაო,

და ან

ენა უკლიტოდ მორბედი
ჭირია ულხინებელიო.

დუმი-ყი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Недѣля“-ს ყურადღება მიუქცევია ამას წინად „ოდესის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოებაში“ წაკითხულ ცნობებისათვის იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ოდესაში ბეჭდვითი საქმე. ამ ცნობებიდგანა აშკარადა სჩანსო, რომ პროვინცია გონებრივად თანდათან იზრდება, კულტურის მხრით ფეხზედა სდგება და ვითარდება. აი ამისი საბუთებიც, „Недѣля“-ს გადმოცემით:

ამ ორმოცის წლის წინად ოდესაში იყო მხოლოდ ერთი სტამბა, ისიც ხაზინისა, ხოლო ამ ჟამად-კი 35 და ამათში 20 უკანასკნელს ათს წელიწადში დაარსებული. ეხლა სტამბათა რიცხვით ოდესა თითქმის მხარში ამოუდგა პეტერბურგს, რადგან პეტერბურგში ყოველ 9,000 მცხოვრებზედ ორთა შუა რიცხვით ერთი სტამბაა დაარსებული, ხოლო ოდესაში—10,000 მცხოვრებზედ ერთი. ამ შედარებას უფრო განსხვავებული იერი და ფერი დაედება, თუ სახეში ვიქონიეთ ის გარემოებაც, რომ პეტერბურგის სტამბა მთელის რუსეთის დაკმაყოფილებისათვის იღვწის, ხოლო ოდესისას-კი მოქმედების ასპარეზი მეტად მცირე აქვს. ამ სამოცის წლის წინად ოდესაში მხოლოდ ერთი გაზეთი გამოდიოდა (რაღა თქმა უნდა, მთავრობის ხარჯით, და ისიც ფრანგულს ენაზედ) და სულ 37 ხელის-მომწერი ჰყავდა. ამ ჟამად ოდესაში 14 გაზეთია და სულ 27,000 ეგზემპლიარად იბეჭდება. საყურადღებო-კი უფრო ის არის, რომ ოდესაში გამოცემულთა წიგნთა რიცხვიც დღე ყოველ ჰმატულობს. 1883 წ. ოდესაში დაბეჭდილა 266 თხზულება, ხოლო 1888 წ.—556, ე. ი. ხუთს წელიწადს თხზულებათა რიცხვი ერთი ორად და კიდევ მეტადაც ქცეულა. ამას გარდა, 1883 წ. სულ 280,710 ეგზემპლიარი დაუბეჭდიათ წიგნებისა და წიგნაკებისა, ხოლო 1888 წ.—820,237, ე. ი. ერთი სამად მეტი. ამის გარეშე სივრცითაც ბოლოს გამოსული წიგნები ერთი ორად აღემატება წინათ დაბეჭდილს. [illegible]ც, რომ ოდესაში დაბეჭდილი წიგნები მეათედს შეადგენს მთელს რუსეთში დაბეჭდილ წიგნებისას.

ზემოხსენებულ გაზეთის სიტყვით, ოდესას შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს ყაზანს და ამათ გარდა დიდ-ძალი წიგნები იბეჭდება აგრეთვე კიევსა, ხარკოვსა, ვორონეჟში და სხ. ასე წარმოიდგინეთ, ისეთს პაწია მაზრის ქალაქებშიაც-კი გამოდის წიგნი, როგორიც არის ვოლსკი.

პროვინციის მწერლობის განვითარებაშიო, განაგრძობს გაზეთი: განახორციელა და შესაძლებელად გაჰხადა ერთი ისეთი ამბავი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად წარმოუდგენელიც-კი იყო. ეს ამბავი ის არის, რომ უკვე რამდენიმე ლიტერატორი მოიპოვება ისეთი პროვინციაში, რომელიც მხოლოდ მწერლობითა სცხოვრობს დაარსებობს. მწერლობის დასი რაოდენობით თვალისათვის შესამჩნევია მარტო ოდესაში, ხოლო ბევრნი არიან აგრეთვე კიევსა, ყაზანსა, სარატოვსა, ხარკოვსა, ტფილისში და სხ. პროვინციელ ლიტერატორთა რიცხვი იმდენად მრავლდება, რომ უკვე პროვინციის სალიტერატურო საზოგადოებათ აარსებენ კიდეც. ამ ჟამად ამ გვარი „სალიტერატურო ფონდი“ ორია დაფუძნებული ოდესასა და სარატოვში და, ამას გარდა, ყაზანის ლიტერატორებიც სცდილობენ ამისთანავე „ფონდი“ დაიარსონ.

დასასრულ „Недѣля“ ამბობს, რომ ჩვენ მიერ აღნიშნულს ზრდას პროვინციისას მწერლობის მხრით მით უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცემა, თუ სახეში ვიქონიებთ იმასაც, რამდენად ძნელია ჩვენში, განსაკუთრებით პროვინციაში, გაზეთის გამოცემა და წიგნის დაბეჭდვაო.

პროვინციაში წიგნი ან გაზეთი მხოლოდ ცენზორის ნება-რთვით შეიძლება დაიბეჭდოს. ამასთან ცენზორობა მინდობილი აქვს ადმინისტრაციის რომელსამე მოხელეს, ხოლო სამაზრო ქალაქებში-კი ხშირად თვით პოლიციის მოხელენივე არიან ცენზორებად. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი ცენზორი თავის გაუნათლებლობის გამოისობით ვერაფერს სიკეთეს დააყრის მწერლობას. ნულარას ვიტყვით თუნდა იმის შესახებაც, რომ როცა პროვინციაში გაზეთს ან წიგნს იქ ვერავის მიანდობენ ხოლმე განსახილველად, იმ ქალაქში ჰგზავნიან, სადაც საცენზურო კომიტეტია. ასეთი ამბავი-კი ძალიან ხშირია, მაგალითებრ, გაზეთს ცენზორს კავკავიდგან ტფილისს უგზავნიან, ან კიდევ ორიოლიდგან მოსკოვში. და თუ ამ დაბრკოლებათა მიუხედავად პროვინციაში მწერლობა თანდათან ფეხს იდგამს და წელში იმართება, ეს აშკარა საბუთია იმისი, რომ პროვინცია კულტურის მხრით თანდათან ვითარდება და წინ მიდის. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს პროვინციაში საცენზურო კომიტეტი არსებობს მხოლოდ ოდესასა, კიევსა, ტფილისსა და ყაზანში და დასაბეჭდი წიგნი უწინარეს ყოვლისა ან ამ ადგილებში უნდა გაიგზავნოს ნება-რთვის ასაღებად და ან სატახტო ქალაქებში, და მაშინ უფრო თვალ-ნათლივ დასანახავი გახდება პროვინციის ზრდა და განვითარებაო.

მართლაც-და, „Недѣля“-სი არ იყოს, საკვირველად მიხტის წინ ოდესა კულტურის გზაზედ. საუბედუროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენს ტფილისზედ კერძოდ და კავკასიაზედ საზოგადოდ. ქართულის მწერლობის განვითარება და ზრდა სწორედ კუს ნაბიჯით მიჩოჩავს და ათის წლის ჟამთა უფსკრულში მთანთქმას ოდნავ თუ დაუტყვია თავისი ნიშანი თუნდა გაზეთის მკითხველთა რიცხვის გამრავლებისათვის. თუმცა, ესეც-კი სათქმელია, რაც დრო გადის, იმდენი უფრო ხშირდება ქართულს ენაზედ გამოსული წიგნების რიცხვი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ბევრი გოგა წყალი ჩაივლის მდინარე მტკვარში და ბევრი წელიწადი გადაჰყვება ამ მდინარის ტალღებს, ვიდრე ტფილისი იმდენად აიმართება წელში ამ მხრივ, რომ ოდესას თამამად ამოუდგეს გვერდში.

## უცხოეთი

გერმანია. აი რა სიტყვა წარმოსთქვა იმპერატორმა ვილჰელმმა კენიგსბერგში 2 მაისს სადილზე, რომელიც გამართული იყო კენიგსბერგის სასახლეში: „დიდი ხანია მეცა და იმპერატრიცასაც გვინდოდა გვენახა ეს პროვინცია. მით უფრო სასიამოვნოა ჩემთვის, რომ დღეს აქა გხედავთ თქვენ. გულითა და სულით გიძღვნით სალამს ამ კედელთა შორის, რომელთაც ბევრი რამ უნახავთ და, რომ შეიძლებოდეს, ბევრს რამესაც გვიამბობდნენ ჩვენის ისტორიიდან. ჩვენთვის, პრუსიის მეფეთათვის, ამ პროვინციას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს და მეტადაც გვიზიდავს ძველის-ძველი კენიგსბერგის ქალაქი. ეს ქალაქი ხომ აკვანია პრუსიის სამეფოსი; აქედამ დაიწყო განდიდება და განახლება ჩვენმა ახრებულმა სამშობლომ. აქ არ იყო, რომ ისე სასიამოვნოდ გაღიფურჩქნა სათნოება მტკიცე ერთგულებისა, კარგის მერმისის იმედებისა და უცვალებელის სიყვარულისა მეფეთა სახლის მიმართ. მე კერძოდ დიდად მიყვარს ეს პროვინცია, იმიტომ რომ ბევრი მისი ძენი მინახავს ჩემს ახლოს, ბევრი მათგანი მყოლია ხელ-ქვეითად სხვა-და-სხვა თანამდებობაში და ისეთი უკეთესნი ჯარის-კაცნი არ მინახავს, როგორიც აქაურნი არიან, და უკეთესნი კაცნი ხომ არ მინახავს უფრო დიდს თანამდებობაშიაც-კი. ჩემის აზრით, ეს პროვინცია ბურჯია სამშობლოსი, წყაროა პრუსიის სამეფოს წარმატებისა. აქ უმეტესი ნაწილი მკვიდრთა მხვნელ-მთესველი ხალხია. იმათი ნაყოფიერი შრომაა ის ნიადაგი, რომელიც გვაძლევს ჩვენ ღონეს. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვიზრუნო, რომ ამ მკვიდრთათვის ჰფიქრობდნენ მუდამ და მის წარმატებას მიაქცევდნენ განსაკუთრებულს ყურადღებას. ასე მოვიქცევი კიდეც, ვიდრე ვიქნები მეფედ. ვიღებ ჭიქას და ვსვამ აღმოსავლეთის პრუსიის პროვინციის კეთილდღეობისა და აჰყვავებისათვის. ღმერთმა ინებოს, რომ ამ პროვინციას ბედად ეწეროს უფრო მეტი წარმატება და კეთილდღეობა და აშოროს ომი და უბედურებანი ომიანობისა, მაგრამ თუ ღვთის განგებით ბედად მიწერია თავი ჩემი ვიხსნა და დაიცვა საზღვარნი ჩემის სახელმწიფოსი, ეჭვი არა მაქვს, რომ მახვილი აღმოსავლეთის პრუსიისა ისევე მხნედ დახვდება მტერს, როგორც დახვდა 1870 წელს. ვსვამ სადღეგრძელოს ამ პროვინციისას“.

ამერიკა. 6 აპრილს გათავდა ვაშინგტონში კრება ცხრამეტის სარესპუბლიკო მთავრობის წარმომადგენელთა. ამ კონგრესმა სხვათა შორის დაადგინა ერთი ფრიად საყურადღებო გარდაწყვეტილება: თუ რამ სადიპლომატო, საპოლიტიკო, სავაჭრო, ან სხვა რამ გვარი უთანხმოება და [illegible]

რესპუბლიკათა შორის, ყოველივე ამისთანა საქმე გადასწყდებოდეს ხოლმე სამედიატორო სასამართლოს მიერ და განჩინება ამ სასამართლოსი გა-ნუკითხველად სავალდებულოდ იყოს ამერიკის რესპუბლიკათათვისაო. ერთს სახელმწიფოს არავითარს შემთხვევაში არ შეეძლოს, ჩამოართვას მეორეს არც ერთი ფეხის დადგმა მიწა და მამულიო. ამასთანავე კონგრესმა დაადგინა ურჩიოს ევროპას, რომ იქაური სახელმწიფოებიც ამ გზას დაადგნენ ერთმანეთში ომისა და ყოველ გვარის უსიამოვნების ასაცილებლად.

## წვრილი ამბები

იმპერატორი ვილჰელმი აპირობს აჩუქოს ხონთქარს ძვირფასი ხმალი. ხმალს ექმნება ლომის თავიანი ვერცხლის კადა, ოქროთი დაფერილი. აქეთ იქით თვალების ალაგას ორი ლალის თვალი ექმნება ჩასმული. ხმლის კადაზედ გაკეთებული იქმნება ოქროს მონოგრამმა, ანუ ნიშანი, რომელშიაც ხონთქრის გვარის ყველა ასოებს გამოიყვანენ. მონოგრამმას შეამკობენ ძვირფასის ბრილიანტებით. კადის ბოლოს იქმნება გაკეთებული ოქროს გვირგვინი, ძვირფასის ქვებით მოფენილი.

— ელექტრონი და ცხენები. „Electrical Beview“-ი ამბობს, რომ ელექტრონის ხმარება ისე ვრცელდება ჩრდილო ამერიკის შტატებში, რომ ამ რამდენისამე წლის შემდეგ ცხენებს სრულიადაც აღარ იყოლიებენ ტვირთის საზიდავადაო.

— ახლა ხანად რომში არიან შეკრებილნი სხვა-და სხვა ქვეყნის ლამაზი ქალები, რომელთა შორისაც ვინც სილამაზით ყველას გადააჭარბებს, განგებ დანიშნულს ჯილდოს მიიღებს. რომის მუშა ხალხს, რომელსაც ლუკმა-პურიც არ გააჩნია, ძალიან სწყინს თურმე ამ ლამაზ ქალების პრანჭვა-გრეხვა, გული მოსდით, რა დროს სინაზე და სილამაზეა, კუჭი შიმშილით გვწვისო. ამიტომ ლამაზ არსებათა არამც თუ გული ვერ მოუგიათ და თვალი ვერ მოუხიბლეს მშიერ ხალხს, არამედ ჯილდოდ მხოლოდ საცინლად აგდება, კილვა-კიცხვა და გინება ხვდათ და, ასე გასინჯეთ, ზოგიერთმა გამძვინვარებულმა კაცმა ვარდების მაგიერ ფორთოხლების სროლა დაუწყო და ვარდის ფერი ლოყები ქაღალდის ფრად შეუცვალა ქალებს. პოლიცია რომ არ მიშველებოდა ნაზ არსებათა, ამ ვარდებს, ვინ იცის, იქნება არა ერთი ვარდი საუკუნოდაც დამჭკნარიყო.

— ერთს ამერიკელს მოუგონია ორ თქლის ისეთი ტრომბონი, ანუ სპილენძის საყვირი, რომ ექვს ნახევარ ვერსზე გაიგონებს კაცი მის ხმას, მაგრამ რადგან ასეთი ძლიერი ხმა ერთობ ჰკლავს და აწუხებს ყურთა სმენას, თანამოქალაქეებმა აღუკრძალეს, შენმა ტრომბონმა ყურები წაგვართვა, ამის შემდეგ აღარ გაბედო და ჩვენს ქალაქში აღარ დააწყებინო ყვირილიო. ამ ნაირად განითავისუფლეს მოქალაქეებმა თავი ტრომბონის საოცარის ხმისაგან. მაგრამ მომგონმა თავისი საყვირი სხვა ქალაქებში წაიღო და ახლა კვლავ უნდა სცადოს, თუ რამდენად სულ-გრძელნი და მომთმენნი არიან სხვა მოქალაქეები და რამდენად გამძლეა იმათი ყური.

## დეპეშა

11 მაისი

სოფია. ყველა ბრალდებულმა, რომელიც პანიცას საქმეში ერია, სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შეიტანეს, რომ ამ საქმის გარჩევის ნება სამხედრო სასამართლოს კანონის ძალით არ უნდა ჰქონდესო.

კოპენჰაგენი. დღეს დილით დანიის მემკვიდრე პრინცესსას ქალი მიეცა.

პეტერბურგის ბირჟა, 11 მაისი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 6 97 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 139½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228 | — „ | — „ |
| —მეორისა | 213 | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | 213 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 99 37 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 99¼ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 86½ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

# გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

სასტუმრო

# „პურ-ღვინო“

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითიურად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისვე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ყიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკორები) და საზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეტები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აილებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

(25—18)

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ვყიდოთ ჩვენი.

# საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიჯნედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის უთის მსგავსს უთში გაკეთებულს.

—შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება.

(26—21)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საადგილმამულო სოფლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

# ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ეინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—14)

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

# „დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავ მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიანად და პატივის ცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. }

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იგზავნება აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—20) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

# ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან.

(50—23)